პრეზიდენტ
თომას ს.
მონსონის მიერ



მორმონის წიგნის ძვირფასი დაპირებები

მრავალი წლის წინ, მე ვიდექი სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის მყოფი ახალგაზრდა მამის ლოგინის გვერდზე, იდგნენ მისი გაუბედურებული მეუღლე და ორი ბავშვი. მან ვედრებით შემომხედა, აიღო ჩემი ხელი და მითხრა, „ეპისკოპოსო, ვიცი რომ ვკვდები, მითხარით რა მოუვა ჩემს სულს, როდესაც გარდავიცვლები.“

მე ჩუმად ვილოცე, რომ მიმეღო ღვთიური შთაგონება და შევნიშნე, რომ მისი ლოგინის გვერდზე იდო ეკლესიის წიგნების კრებული. ავიღე წიგნი ხელში და გადავფურცლე აღმოვაჩინე, რომ უნებლიედ გადავშალე მორმონის წიგნის ალმას მე–40 თავი. მას წავუკითხე შემდეგი:

ალმამ თქვა, ანგელოზმა აუწყა მას, რომ ყველა ადამიანის სული, როდესაც ტოვებს მოკვდავ სხეულს, ბრუნდება სახლში ღმერთთან, რომელმაც მათ მისცა სიცოცხლე.

ალალმართალი ადამიანების სულები შევლენ სასუფეველში, სადაც არის ბედნიერება, სასუფეველს რომელსაც ეძახიან სამოთხეს, სადაც არის დასვენების დასიმშვიდის სამეფო, სადაც ისინი დაისვენებენ ყველა თავის დარდისაგან, საზრუნავისაგან და მწუხარებისაგან. (იხილეთ ალმა 40:11–12).

როდესაც ვკითხულობდი აღდგომაზე, ნათელი მოეფინა ახალგაზრდა კაცის სახეს და ღიმილმა გადაჰკრა მის ტუჩებს. როდესაც დავასრულე ჩემი ვიზიტი, მე დავემშვიდობე მის კეთილ ოჯახს და ცოლს.

მოგვიანებით მე ვნახე გარდაცვლილის მეუღლე და ბავშვები, გასვენებისას. გავიხსენე ის ღამე, როდესაც ახალგაზრდა მამაკაცი დაეწაფა ჭეშმარიტებას და მორმონის წიგნიდან მოისმინა პასუხი თავის შეკითვაზე.

მორმონის წიგნში მოცემულია სხვა ძვირფასი დაპირებები, რომლებიც მოიცავენ მშვიდობას, თავისუფლებას და კურთხევებს, თუ მხოლოდ ჩვენ ვემსახურებით დედამიწის ღმერთს, რაც არის იესო ქრისტე“ (იხილეთ ეთერი 2:12).

ამ გვერდებზე ვკითხულობთ დაუსრულებელ ბედნიერებაზე დაპირებას მათთვის, ვინც იცავს ღმერთის მცნებებს. რადგანაც კურთხეულები არიან ყველაფრით, ამქვეყნიურით და მარადიულით (იხილეთ მოსია 2:41).

ამ გვერდებზე ვკითხულობთ დაპირებას საუცხოო სიხარულზე მათთვის, ვინც ღმერთის ხელში გადაიქცა ინსტრუმენტად მისი ძვირფასი შვილების და ქალიშვილების გადარჩენისათვის. (იხილეთ ალმა 28:8; 29:9).

აქ ვკითხულობთ დაპირებაზე, რომ გაფანტული ისრაელი გაერთიანდება, ჩვენი დიდი

შრომით, რომელშიც ჩართული ვართ, მსოფლიო მისიონერული ძალისხმევით. (იხილეთ 3 ნეფი 16; 21–22).

ამ გვერდებზე ვკითხულობთ დაპირებას, რომ ჩვენი მამაზეციერისადმი იესო ქრისტეს წმინდა სახელით ლოცვისას, ჩვენი ოჯახები იქნებიან კურთხეული (იხილეთ 3 ნეფი 18:21).

ამ გვერდების შესწავლით, აღსრულდება წინასწარმეტყველის დაპირება „მოვა თქვენს ცხოვრებაში, თქვენს სახლში, უფალის სული, განამტკიცებს უფალის მცნებებისადმი თქვენს მორჩილებას და განამტკიცებს უფალის, ცოცხალი ძისადმი, თქვენს დამოწმებას.”[1]

მორმონის წიგნის გვერდებიდან ვიღებთ მორონის დაპირებას, რომ ლოცვით, ნამდვილი მოწადინებით და ქრისტეში რწმენით, ჩვენ შეგვიძლია ჩავწვდეთ ამ დაპირებების ჭეშმარიტებას სულიწმინდის ძალით (იხილეთ მორონი 10:4–5).

უკანასკნელი დღეების სხვა წინასწარმეტყველებთან ერთად მე ვადასტურებ შემდეგ ჭეშმარიტებას: „ ყველაზე სწორი წიგნი დედამიწაზე“[2] არის მორმონის წიგნი, იესო ქრისტეს კიდევ ერთი დამოწმება. მისი მოწოდება მოეფინა დედამიწას და მის მკითხველებისათვის მოაქვს ცოდნა ჭეშმარიტებაზე. ეს არის ჩემი დამოწმება, რომ მორმონის წიგნი გარდააქცევს ადამიანის ცხოვრებას. მოდით წავიკითხოთ და თავიდან გადავიკითხოთ. მოდით ერთმანეთს სიხარულით გავუზიაროთ ჩვენი დამოწმებები, ღმერთის შვილებისათვის მის ძვირფასს დაპირებებზე.

შენიშვნები

1. გორდონ ბ. ჰინკლი, “A Testimony Vibrant and True,” Liahona, აგვისტო 2005, 6.
2. Teachings of Presidents of the Church: Joseph Smith (2007), 64.

ამ მოწოდების სწავლება.

წმინდა წერილებში „ჩვენ ვპოულობთ ჭეშმარიტების პრინციპებს, რომლებიც გვეხმარებიან გადავლახოთ ყველანაირი პრობლემა, არეულობა და სირთულეები, რომლებიც ჩვენ გვხვდება კაცობრიობაში“ (Teaching, No Greater Call [1999], 51). როდესაც თქვენ უზიარებთ ოჯახს, პრეზიდენტ მონსონის მოწოდებას, სთხოვეთ რომ ყურადღება გაამახვილონ იმ „ძვირფასს დაპირებებზე“ რომლებსაც ის გვეუბნება მორმონის წიგნიდან. თქვენ შეგიძლიათ გაუზიაროთ მორმონის წიგნის ის დაპირება, რომელიც მნიშვნელოვანია თქვენთვის.

© 2011 Intellectual Reserve, Inc.-*ს მიერ ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია*: 6/10. *თარგმანი დამტკიცებულია*: 6/10. *თარგმანი First Presidency Message, October 2011*.Georgian. 09770 131

თუ ეჭვი არ გვეპარება

შეისწავლეთ ეს მასალა და საჭიროებისამებრ განიხილეთ ის დებთან, ვისაც სტუმრობთ. დაუსვით შეკითხვები, რათა შესძლოთ თქვენი დების განმტკიცება და ასევე იმისათვის, რომ მოწყალების საზოგადოება გახდეს თქვენი ცხოვრების აქტიური ნაწილი.

რწმენა • ოჯახი • მოწყალება.

მორმონის წიგნში ჩვენ ვკითხულობთ ორ ახალგაზრდა კაცზე, რომლებიც იყვნენ ძალიან მამაცები, ძლიერები, გულადები და გამბედავები. ისინი იყვნენ მართალი და საღად მოაზროვნე ადამიანები, რადგან იცოდნენ ღმერთის კანონების დაცვა და მის წინაშე სწორ გზაზე სიარული (იხილეთ Alma 53:21). ამ მორწმუნე ახალგაზრდებმა, პატივი აგეს თავის დედებს, თავის სამაგალითო მასწავლებლებს.

ჰელამანის მებრძოლთა დედები ცხოვრობდნენ ისეთ დროს, რომელიც ცოტათი განსხვავდებოდა დღევანდელისაგან. მათი ცხოვრება იყო მძიმე და საშიში, ახალგაზრდობა გაწვეული იყო მათი ფიზიკური და სულიერი თავისუფლების დაცვისათვის. დღეს ჩვენ ვცხოვრობთ მსოფლიოში, სადაც ჩვენი „ბრძოლა არ არის სისხლისა და ხორცის წინააღმდეგ, არამედ მთავრობათა წინააღმდეგ, ხელმწიფებათა წინააღმდეგ, ამ სოფლის სიბნელის მპყრობელთა წინააღმდეგ, ცისქვეშეთის ბოროტების სულთა წინააღმდეგ“ (ეფესელთა 6:12).

მძიმე დრო ითხოვს ძლიერ სამაგალითო მშობლებს, რომლებიც ასწავლიან ჭეშმარიტებას, რომელიც იცოდნენ ჰელამანის მებრძოლებმა: მათ ღმერთი დაეხმარებოდათ თუ არ შეეპარებოდათ ეჭვი (იხილეთ ალმა 56:47). დღესაც ამ ჭეშმარიტებების სწავლა და გამოყენება მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. მიუხედავად ამისა არ უნდა გვეშინოდეს. როდესაც ვიცით ვინ ვართ, ვინ არის ღმერთი და ვიცით რომ მასთან დადებული გვაქვს აღთქმა, მაშინ ჩვენ, როგორც იმ მებრძოლთა დედებს გვექნება დიდი გავლენა სიკეთისათვის.

სავარაუდოდ, ჰელამანის 2060 ყოველი მებრძოლი დედის მიერ იყო აღზრდილი. მაგრამ მათი დედები არ იყვნენ მარტონი, სხვა ღირსეული ქალებთან და კაცებთან ერთად, ამ დედებმა შესძლეს მათი რწმენის გაერთიანება, რომ თავიანთი მაგალითით ესწავლებინათ აღთქმის ძალა. იმ დროს ახალგაზრდა ადამიანებს ესმოდათ მათი მშობლების მიერ დადებული აღთქმა რომ არ ჩარეულიყვნენ ომში. მაშინ როდესაც თითქოს შეუძლებელი იყო, სიყვარულით აღსავსე მამაზეციერმა გაუხსნა გზა ამ მშობლებს, რომ არ დაერღვიათ თავიანთი აღთქმა და დაეცვათ თავიანთი თავისუფლება (იხილეთ ალმა 56:5–9). ჩვენც ასევე უნდა დავიცვათ ჩვენს მიერ დადებული აღთქმები, რათა ჩვენმა ბავშვებმა ასევე ჩვენი მრევლის, მეურვეობის, სამეზობლოს, ბავშვებმა და მოზარდებმა, გაიგონ და დააფასონ დადებული აღთქმების დაცვა.

როდესაც ჩვენ ვიცავთ ჩვენს აღთქმებს, მამაზეციერს ეძლევა საშუალება რომ მოგვიმზადოს გზა. ჩვენ ზუსტად უნდა დავიცვათ ჩვენს მიერ დადებული აღთქმები. მაგალითად შეგვიძლია უფრო გულდასმით ლოცვა და წმინდა წერილების შესწავლა, სატაძრო რეკომენდაციისათვის ღირსეულად ცხოვრება, თავმდაბლური ტანსაცმლის ტარება და შაბათი დღის დაფასება. როდესაც ასე გავაკეთებთ ჩვენს ბავშვებს ეცოდინებათ და შესძლებენ შემდეგის თქმას: ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რადგან ეს ჩვენმა დედებმა იცოდნენ (იხილეთ ალმა 56:48).

უკანასკნელი დღეების წმინდანი ქალები, რომლებსაც ესმით, რომ მათი ძალა მოდის უფალის გამოსყიდვით, რომელიც ეხმარებათ რომ არ დანებდნენ გაჭირვების ჟამს.

ჩვენ, როგორც აღთქმების მქონე ადამიანები, ჩვენ თავს ვდებთ ბავშვების და ახალგაზრდობის აღზრდისთვის და დაცვისათვის, რათა ერთ დღეს, ჩვენს მოზარდ შთამომავლობას შევძლოთ ვუთხრათ, რომ არასდროს არავისგან გვინახავს ასეთი სიმამაცე (იხილეთ ალმა 56:45).

ჯული ბ. ბექი, მოწყალების საზოგადოების გენერალური პრეზიდენტი.

წმინდა წერილებიდან

ალმა 53; 56–58

რა შემიძლია გავაკეთო?

1. როგორ შემიძლია დავეხმარო ჩემს დებს, რომ იმოქმედონ ძალით, რომელიც მათ აქვთ, რომ გავლენა იქონიონ ახალგაზრდა თაობაზე?

2. რა შთაგონებას ვიპოვი მე მორმონის წიგნში, რომ დავსძლიო დღევანდელი გამოწვევები?

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებგვერდი www.reliefsociety.lds.org.

© 2011 Intellectual Reserve, Inc.-ს *მიერ ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია*: 6/10. *თარგმანი დამტკიცებულია:* 6/10. *თარგმანი Visiting Teaching Message, October 2011.*Georgian. 09770 131